№ 245 ნოემბერი 17, პარასკევი 1889 ნოემბერი 17, პარასკევი № 245

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად უველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—4)

ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში:

**ისტორია საქართველოსი**

(უძველეს დროიდამ მეათე საუკუნემდე)

თხზ. დიმ. ბაქრაძისა

ფასი 1 მან.

მოთხრობანი ვაჟა-ფშაველ ასი

(დ. რაზიკაშვილისა.)

ფასი 30 კაპ.

(5—3)

## ახალი ამბავი

*** ყველას მოეხსენება რამდენად არის საზოგადოდ ამიერ-კავკასიაში გავრცელებული სნეულება, ესრედ წოდებული მალარია, ანუ, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, ციებ-ცხელება. ამ სნემა განსაკუთრებით წრეულს იჩინა ძალიან თავი. ჩვენს გაზეთში უკვე რამდენიმე ამბავი იყო დაბეჭდილი, რომ ამა-და-ამ დაბასა და სოფელში ძალიან არის გავრცელებული ციებ-ცხელება და ოჯახი არ არის ისეთი, რომ ერთი ავადმყოფი არ იწვესო. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ ციებ-ცხელება უფრო ძალიან მძვინვარებს ჭაობიანს ადგილებში, სადაც წყალი დიდხანს რჩება ერთს ადგილას, ფუჩდება და მიაზმებს ავრცელებს. ამ მხრივ ჩვენმა რკინის გზამ დიდი ზიანი მოგვიტანა. ეს რკინის გზა შტოების გაყვანის დროს გზებსა სთხრის, ოღრო-ჩოღროებს, შიგ წყალი გუბდება და რადგან ამომშრობელი არავინ არის, ამ თხრილებში დაგუბებული და აშმორებული წყალი მიაზმებს აჩენს და ციებ-ცხელებას ავრცელებს. ასეა დაოღრო-ჩოღროებული ადგილები, მაგალითებრ, ქარელსა, ხიდისთავსა და სხ. სოფელსა და დაბაში, რომელსაც რკინის გზა ახლო ჩაუდის. აჯი-ქაბული ციებ-ცხელების ბუდედ და ბუნაგად ითვლება. რადა მერე? უმთავრესი მიზეზი, სხვა მიზეზთა გარდა, ისევ რკინის გზაა. ამ რკინის გზამ ორის ვერსის მანძილზედ მყოფ ტბიდგან წყალი გამოიყვანა მილით აჯი-ქაბულის სარკინის-გზო სადგურზედ და რადგან ეშინოდათ, რომ წყლის ძლიერმა დენამ მილი არსად გაჰხეთქოსო, მილს სამს ალაგას თავში ამოსავალი მისცეს, რომ ძლიერის დენის დროს წყალს ამოსადენი გზა ჰქონდესო. წყალს ამოსადენი გზა-კი მიეცა, მაგრამ აუზები არ დაუკეთეს, წყალი მიწაზე იღვრება და ამის წყალობით წელიწადი — თორმეტი თვეე ჭონჭოხი დგას. რა თქმა უნდა, რომ ამ წყალს პატრონი არა ჰყავს, ადვილად შმორდება და მიაზმებს ავრცელებს. რკინის გზა, იმის მაგიერ, რომ ამ ნაკლს უშველოს რამე და ჭაობები და ჭონჭოხი ადგილები ამოაშრობინოს, ციებ-ცხელების ავადმყოფებთან ექიმებსა ჰგზავნის და წამალსა ჰხარჯავს. აი ამ მხრივ არის საყურადღებო მოხსენება მკურნალის სახაროვისა მალარიის შესახებ, რომელსაც გუშინ საღამოს უნდა წაეკითხა კავკასიის მკურნალთა საზოგადოების კრებაზედ. ამ მოხსენების ამბავს ხვალ ვაცოდინებთ ჩვენს მკითხველებს.

*** ტფილისში უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს ტეხნიკური სასწავლებელი დააარსოს. ამ აზრით მან მიმართა სხვა-და-სხვა დაწესებულებათ და სთხოვა შეგვატყობინეთ, ვის რითი შეუძლიან აღმოუჩინოს შემწეობაო. სხვათა შორის ტფილისის საქალაქო საბჭოს განზრახვა ჰქონდა სამას-სამასი თუმანი ეძლია სასწავლებლისათვის წელიწადში და ამასთანავე ასი საჟენი მიწა მიეცა სასკოლო შენობისათვის ფერმის მამულში. მაგრამ ქალაქის თავი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, იწერება დეპეშით: როგორც შევიტყე, ასეთი შემწეობა ქალაქის მხრით საკმაო არ არის, რომ მთავრობამ ზემოხსენებულის სასწავლებლის დაარსება იკისროსო. ამ დეპეშის მიხედვით საბჭო მომავალს ორშაბათს განიხილავს ამ საქმეს. იმედია, საბჭო არავითარს ღონისძიებას არ დაიშურებს და ასეთს სასარგებლო განზრახვას მთავრობისას ხელს მოუმართავს უფრო უხვის შემწეობით.

*** ჩუღურეთის მოედანი, სადაც ყანთარია გამართული, სწორედ შესაბრალისს მდგომარეობაშია. ამ მოედანზედ დიდ-ძალი ნაგავი ჰყრია და დამგველი და გამ[ა]მყრელი-კი არავინა ჰყავს. ყანთრის გარშემო ადგილი სავსეა ხახვის ფუჩეჩით, კომბოსტოს ფურცლებით და ათას სხვა ჩალა-ბულათი, რომელიც ტალახში ერევა და ატლაპოებს იქაურობას. საკვირველია, ჩვენი ქალაქის გამგეობა რატომ ამ მოედანს-კი არ აქცევს ყურადღებას და ერთხელ რატომ ამ მოედნის დასაგველად-კი არ გაჰგზავნის თავისს დამგველს კომანდას?!

*** გუშინ-წინ, 15 ნოემბერს, ფორკატის საოპერეტო დასმა წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი ოპერეტი „პალერმოელი მომღერალი“. უმთავრესს როლებს ასრულებდნენ ქ-ნი ტროცკაიასი და ბ-ნნი კლიმენტიევი და მეიერსონი. თუმცა გამოცხადებული

## ფელეტონი

### უკანასკნელი ხმები

ჭიაბურისა

მაისის ღამეა. შრომა-ხმაურობისაგან დაღლილი ქუთაისი ძილს მისცემია. ზევიდამ საყარაულოდ თავს დასდგომია ათასი მოციმციმე ვარსკვლავი და სავსე მთვარე; მარჯვნივ ნახევარ რკალად გარს შემორტყმია ზღაპრულ დარაჯ გველ-ვეშაპივით უხიმერიონის მთა; შუაზედ ბუტბუტითა და რისხვა-წყრომით მიჩხრიალებს გიჟმაჟი რიონი. ყოველ მხრიდგან დაჰკივიან და ნანას ეუბნებიან ბულბულები... აღარც ერთის ეტლის რახა-რუხი აღარ ისმის. დრო გამოშვებით მხოლოდ ძაღლები წამოიყეფებენ და მოისმის დარაჯების ე-ე-ე-ი!.. სუყველას სძინავს... მარტო უხიმერიონის მთის წვეროზე გადმომდგარ სახლიდგან გამობჟუტავს სინათლე.

აბა შევიხედოთ ამ სახლში.

ფანჯარასთან მიდგმულს ლოგინში წევს მძიმე ავადმყოფი და მწარედ კვნესის, ხანდახან ისეთს ამოახველებს, თითქო გულ-ღვიძლი ერთიანად თან ამოაყოლაო. პირველ შეხედვაზე გაგიჭირდებათ გამოცნობა, ამ ლოგინში წევს ვინმე, თუ ცალიერიაო, ისე მიმდნარა და მილეულა ავადმყოფი. მხოლოდ შავ დიდრონ თვალებსა ჰხედავთ, მაგრამ ამ თვალებშიაც ძლივსღა გამობჟუტავს სიცოცხლის შუქი. ეტყობა იგი ამ ქვეყნისა აღარ არის...

ჰგრძნობს საბრალო, რომ ბევრი-ბევრი ორი-სამი საათის სიცოცხლეღა დარჩენია და უნდა, რომ ამ უკანასკნელ წამებში მაინც დასტკბეს ბუნების სიმშვენიერით. რის ვაი ვაგლახით ლოგინიდგან წამოიწია, ფანჯარას გადაეყუდა და ხარბად დაუწყო ყლაპვა გრილ წმინდა ჰაერს. ისე დაჟინებით მისჩერებია მის წინ გაშლილ საუცხოვო სურათს, თითქო სურსო გონებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდოს, რასაც-კი ხედავს, ანუ რაც-კი ესმის.

ვიშ, რა მშვენიერებაა! განა შეუძლიან ვისმე ენით, ან კალმის წვერით გამოხატოს ბუნების ასეთი მშვენიერება?! არა, ეს შეუძლებელია. ეს მხოლოდ შეიძლება იგრძნოს კაცმა, თუ მგრძნობელი გული აქვს. დაფასება-კი იმას შეუძლია ვისაც უსპობენ ამ მშვენიერების ხილვას.

— ოჰ, რა ტკბილია სიცოცხლე!.. ღმერთო, გევედრები რამდენიმე დღე მაინც მადროვე, მხოლოდ რამდენიმე დღე! ყრუდ ამოიძახა მომაკვდავმა. მაგრამ სიკვდილის ანგელოზი თავის საშინელის ცელით უწყალო ჯალათივით თავს დასდგომია და სამარისაკენ უთითებს. წარმოიდგინეთ, ერთის მხრით ეს მშვენიერი ბუნება და მეორეს მხრით პირ-დაღრენილი შავი სამარე... სწორედ საშინელებაა!!.

გრილი ნიავი თითქო კისერში ჩაუვიდა და ღიტინი დაუწყოო: ერთი დაახველა, მეორეც, მესამეც და პირიდგან წყაროსავით სისხლი წასკდა. დახველებაზე მეორე ოთახში მძინარე დედას გამოეღვიძა და ლოგინიდგან გიჟივით წამოვარდა მოსაშველებლად. თუ ცივის წყლით, თუ წამლებით, როგორც იყო, სისხლის დენა შეუწყვიტა და ლოგინში მოასვენა. თვალები მილამებია, ხელ-ფეხი ყინულივით გაციეებია და მკვდრის ფერი აძევს. მხოლოდ ოდნავ უცემს მაჯა და შუბლზე ცივი ოფლი დაუყრია.

ჰოი, უწყალო სიკვდილო, გამოჰკარ ბარემ შენი ყოვლის შემმუსრავი ცელი და მოუსწრაფე სიცოცხლე ამ მრავალ ტანჯულს, რაღას აწვალებ!..

აი სწორეთ ამისთანაზე იტყვიან: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესაო“. საბრალო სიდგან სად გადმოხვეწილა, ვინ იცის რა მანძილი შამოუვლია, გადმოულახავს ექიმების რჩევით?! აქ მოელოდა ის უკვდავების წყაროს პოვნას და მის მაგიერ, რომ ჯან-საღი გაბრუნებულიყო თავის საყვარელ სამშობლო პოლშაში, ძვლებიც-კი ვეღარ ეღირსება სამშობლო მიწაში განსვენებას!..

რამდენსამე ხანს შემდეგ ავადმყოფი გონზე მოვიდა და ოთახს დაუწყო თვალიერება.

რა ლამაზად ჰქონდა საწყალს მორთული ეს ოთახი ამას წინად!.. ფანჯარასთან მიგდებული იყო კოხტა პიანინო; კედლებთან ჩამწკრივებული იყო რამდენიმე ხელის სკამი, დივანი, დიდი მრგვალი სტოლი, რომელსაც მოდგმული ჰქონდა ორი კრესლო და კედლებზე რამდენიმე კაი ფასის მხატვრობა ეკიდა. დღეს კი ეს ოთახი გაძარცულია, მაგრამ ორ-ფეხა და ორთვალა ავაზაკისაგან-კი არა, არამედ იმ საშინელ ავაზაკისაგან, რომელსაც არც ფეხი აქვს, არც თვალი და რომელსაც გაჭირებას ეძახიან.

ქუთაისში თავს ცოტა მომჯობინება დაატყო და იმედის შუქმა ჩაუნათა გულში. ჰფიქრობდა: თუ მორჩი, მუსიკის მასწავლებლის ხელობას დავიჭერ, ხელ-მეორედ მოვეწყობიო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. შეაბრუნა და თანდათან უარესად ჰგრძნობდა თავის-თავს. რაც კარგა ყოფნაში ფული ეშოვნა, სულ წამლობაში და სამკურნალო წყლებზე მოგზაურობაში შემოეხარჯა. ექიმის გასასტუმრებელი ფულიც აღარ დაურჩათ. მეტი რა გზა იყო, უნდა მიეყოთ ხელი ოთახის ავეჯეულობის გაყიდვისათვის. საწყალი დედა მისი ხან ერთ სკამს მიათრევდა ბაზარში გასასყიდად, ხან მეორეს. ჰყიდდა ნახევარ ფასად და ყიდულობდა წამლებსა და ისტუმრებდა ექიმს. გაჰყიდა პიანინო, გაჰყიდა სურათები, გიტარა სულ უკანასკნელ ფასად. მიჰყიდა მთელი გოდორი ძვირფასი ნოტები ბაყლებს. გაიცალა ოთახი... დარჩა მხოლოდ ერთი სკამი და კუთხეში მიდგმული პატარა მრგვალი სტოლი, რომელზედაც წამლის შუშები აწყვია.

— ეხ! ყველაფერი გაყიდულია! გაყიდულია სტოლები, სკამები... სტოლები და სკამები ცეცხლსაც-კი დაეწვას, მაგრამ აღარ არის პიანინო, აღარ არის გიტარა.

საბრალომ ის-კი აღარ იცის, რომ მისი საყვარელი ნოტებიც გაყიდულია და რომ ბახისა და ბეტჰოვენის ზეციურ სიმფონიებში ბაყლები დამპალ-დუმპალ ხილს უხვევენ მყიდველებს.

— გიტარა, რომელიც ორმოცი, ორმოც-და-ათი მანეთი ღირდა, გაიყიდა თორმეტ მანეთად. მხოლოდ თორმეტ მანეთად! წამოიდუდუნა ავადმყოფმა და მწარედ ამოიოხრა.

— ვინ იცის ეხლა სადა გდია? შეიძლება რომელსამე დუქნის მჭვარტლიანს კუთხეში იყოს მიგდებული, ან არა-და ბავშვების გასართობად ზედ ხარაზი უჩხაკუნებდეს თავის ვაქსიან თითებს! ან-კი მაგათ იციან საკრავების ღირსების დაფასება? მაგათ ოღონდ იაფად იყიდონ, ხმა-კი როგორიც უნდა ჰქონდეს, იმას არ დაგიდევენ. მაგრამ არა, იციან, როგორ არ იციან, მაგრამ აბა რას დაგიდევენ შენს გაჭირებას! რამდენადაც უფრო გიჭირს, მათთვის უკეთესია, უფრო იაფად იყიდიან.

ამას წინად ვიღაც შემოვიდა და გიტარა გასინჯა. არ მოიწონა: ბევრი-ბევრი, რვა მანეთია ამისი ფასიო, მაგრამ თქვენი გაჭირება ვიცი და ამიტომ გაძლევთ ათ მანეთსაო. ბრაზი მომერია, სისხლი ყელში მომაწვა. პირიდამ სისხლი წამსკდა და დედაჩემი მომვარდა გრძნობაზე მოსაყვანად. ის ვაჟბატონი იმ წამსვე წაბძანებულიყო. ვწუხვარ, რომ წამოდგომა ვერ შევიძელ, რომ ჯოხით ზურგი ამეჭრელებინა კარგად იმ ფილანტროპისათვის. მეორე დღეს-კი ორი მანეთიც დაემატებია. ალბად შევებრალეთ!.. დედას საყვედური ვუთხარი, თორმეტ მანეთად რად მიეცი-თქო. რა მექნა, შვილო, მთელი სამი დღე ბაზარში ვატარე და ხუთ მანათზედ მეტი არავინ შემომაძლია, ფული-კი წამლისათვის საჭირო იყოვო.

ე-ეხ!..

სახლის პატრონიც ფულს თხოულობს... რიღათი უნდა გავისტუმროთ? ვგონებ გასაყიდიც-კი აღარაფერი დაგვრჩენია.

ჰო, მართლა, პიანური დაგვრჩა კიდევ. ერთად-ერთი პიანური! ხვალ იმასაც გაჰყიდიან. დიახ, გაჰყიდიან, წამოილუღლუღა ბედკრულმა და მწვავე ცრემლები გადმოჰყარა.

იყო, რომ თვით პალერმოელ მომღერლის როლს ბ-ნი ლოდი ითამაშებსო, მაგრამ ლოდის ავადმყოფობის გამო იმის მაგიერ კლიმენტიევმა ითამაშა. დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი დასის გამგესი და მმართველისა გ. ი. არსკისა. წარმოადგენენ წრეულს პირველად ვარნეის სამ-მოქმედებიანსა და ექვს-სურათიანს ოპერა-ბუფს „Мушкатеры“ და მეორე მოქმედებას „ღარიბის სტუდენტისას“. მონაწილეობას თითქმის დასის ყველა არტისტები მიიღებენ.

*** მხოლოდ წელს დაიბეჭდა ანგარიში ტფილისის მიხეილის სამკურნალოსი 1887 წლისა. წელსაც ეს ანგარიში ვერ იხილავდა ნათელს და დაბეჭდვას ვერ ეღირსებოდა, რომ თვით სამკურნალოს მკურნალთა კრებულს ანუ კომიტეტს არ ეთხოვნა უფროს მკურნალ გოლბეკისათვის იმისი დაბეჭდვა და კავკასიის მთავარ-მართებელს არ გადაედო ამისათვის საჭირო ფული. ანგარიში სავსეა ფრიად საყურადღებო ციფრებით სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა და თვით ავადმყოფთა რაოდენობის შესახებ. მოხსენებულია ჩამომავლობა ავადმყოფთა, რიცხვი გარდაცვალებულთა, იშვიათის ავადმყოფობის წამლობა და სხვანი. ანგარიშში სულ ოთხი განყოფილებაა. პირველ განყოფილების ანგარიში შინაგან ავადმყოფობათა შესახებ შეუდგენია უფროსს ორდინატორს დოქტორს ჰაუდელინს, რომელსაც დახმარებიან უმცროსი ორდინატორები: მონტვილლი, გოკიელი და ნოვომარიევსკი. მეორე განყოფილების ანგარიში, სახელდობრ ხირურგიულისა, შეუდგენია უფროსს ორდინატორს დოქტორს როზენბაუმს, რომელსაც დახმარებიან უმცროსი ორდინატორები: ბეზირგანაშვილი და მელიქ-მურადოვი და თვით უფროსი სამკურნალოსი გოლბეკი. მესამე განყოფილების ანგარიში, სახელდობრ სულით ავადმყოფობისა, შეუდგენია უფროსს ორდინატორს დოქტორს პავლოვსკის, ხოლო პროზექტურის ანგარიში პროზექტორს დოქტორს ლუნკევიჩს. 1887 წლის განმავლობაში ხელდახელ შემწეობა მიუციათ სამკურნალოში 77 კაცისათვის. შიგ სამკურნალოში ყოფილა და უწამლია 2111 ავადმყოფს. გარდაცვლილა 314. ავადმყოფთა და გარდაცვლილთა შორის ყოფილან: რუსნი 872, გარდაცვლილა 126; ქართველნი 488, გარდაცვლილა 87; სომხები 338, გარდაცვლილა 42. 2111 ავადმყოფში ქალაქელები მხოლოდ 280 კაცი ყოფილა. ამათში მორჩენილია 210, გარდაცვლილა 51, სამკურნალოში დარჩენილა 19 კაცი. საზოგადოდ ეს ანგარიში ფრიად საყურადღებოა სხვა-და-სხვა მხრით და სასარგებლო თვით მკურნალთა და დოქტორთათვის.

*** 14 ნოემბერს პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, მგელის ინსტიტუტის გზაზედ, სვეჩნიკოვის სახლის კარებთან იპოვნეს მიგდებული ყმაწვილი მამათ სქესისა, რომელიც, როგორც ეტყობა, სულ ორის დღის დაბადებული უნდა იყოს. ეს მიგდებული ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

◆◆

# უცხოეთი

ბრაზილია. გენერალი ფონსეკა, რომელიც ეხლა მოთავეა ახალის მთავრობისა ბრაზილიაში, ხნიერი კაცია და დიდის ხნის ნამსახური ჯარში. უყვარს კიდეც ძრიელ მხედრობას და დიდი სახელიცა აქვს გავარდნილი. შარშანვე ფონსეკამ თავის ჯარით დიდი წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას. მთავრობას უნდოდა მოეშორებინა როგორმე ეს საშიშარი რესპუბლიკის მომხრე გენერალი და ტყუილად მოიგონა, რომ საჭიროა ჯარები ბრაზილიის საზღვრებისაკენ გავგზავნოთო, რადგან პარაგვაისა და ბლივის შორის ომია და ჩვენ უნდა ნეიტრალიტეტი დავიცვათო. ჯარებში ისეთი ხალხი აარჩიეს, რომელიც უფრო რესპუბლიკის მომხრე იყო. ამ ხალხს მხედართ-მთავრად დაუნიშნეს გენერალი ფონსეკა. ფონსეკა მივიდა საზღვარზე და მიხვდა, რომ მისი იქ ყოფნა სრულიად საჭირო არ იყო და რომ მთავრობამ მოატყუა და კისერზე გადიგდო. ფონსეკამ აღთქმა დასდო, რომ ასეთს ხუმრობას არ შევარჩენ მთავრობასაო.

— რესპუბლიკის მთავრობას დაუნიშნავს ბრაზილიის იმპერატორად ნამყოფ დონ-პედროსათვის $2^1/_2$ მილიონი დოლარი ერთხანად და 450,000 დოლარი ყოველ წლივ.

— იმპერატორ დონ-პედრომ, სხვათა შორის, ის დიდი ღვაწლი დასდო ბრაზილიას, რომ იმის მეფობაში მოისპო მონობა და ბატონ-ყმობა და გავრცელდა სწავლა-განათლება.

საფრანგეთი. ლეონ სეს აზრია, რომ პალატაში შესდგეს უმრავლესობა ზომიერ რესპუბლიკელთაგან და იმ კონსერვატორთაგან, რომელნიც გულწრფელად მიემხრნენ რესპუბლიკასაო. ლეონ სეს ესარჩლება მისი გაზეთი «Journal des Debats»-ი. მეორე გაზეთი ზომიერ რესპუბლიკელებისა «Temps»-ი წინააღმდეგია ამ აზრისა. უმრავლესობის შესადგენად საჭიროა შეერთდნენ თვით რესპუბლიკელნიო. ეს გაზეთი საზოგადოდ დიდი მოსარჩლეა ეხლანდელის მთავარ-მინისტრის ტირარისა და ამტკიცებს: საკმაო არ არის კონსერვატორებმა გულ-წრფელად აღიარონ სარესპუბლიკო წესწყობილების სიკეთე, უნდა საბუთიც მოგვცენ, რომ საქმითაც მომხრეობენ რესპუბლიკასაო.

— ტირარის კაბინეთს განზრახვა აქვს საპოლიტიკო საქმეებს ნაკლები ყურადღება მიაქციოს და განსაკუთრებით საეკონომიო რეფორმების განხორციელებას შეუდგეს. ამავე აზრისაა თვით პალატის უმრავლესობაც, რომელიც უფრო ზომიერ რესპუბლიკელთაგან შესდგება. როცა დეპუტატმა მანჟანმა პირველსავე კრებაზე წარუდგინა პალატას თავისი წინადადება კონსტიტუციის გადაჩხრეკისა, დიდმა უმეტესობამ გადასწყვიტა, რომ მაგ საქმეს ეხლა პალატა ვერ შეუდგებაო (345 ხმა წინააღმდეგ 123).

— ახლა საქმე ის არის, რომ ზომიერი უმრავლესობა პალატისა, რომელსაც არ უნდა არც კონსტიტუციის გადასინჯვა და არც საეკკლესიო საქმეების განცალკევება სახელმწიფო საქმეთაგან, მოახერხებს-კი, ან მოინდომებს-კი საეკონომიო და საფინანსო რეფორმების შემოღებას? საქმე იმაშია, რომ პალატას არ შეუძლიან შეამციროს სახელმწიფო ხარჯი, რადგან აუარებელს მხედრობას დიდი ფული უნდება. არ შეუძლიან აგრეთვე შემოიღოს ისეთი ხარჯი, რომელიც თითოეულის ქონებასა და შემოსავალს ეშესაბამებოდეს, ამიტომ-რომ ამისთანა ხარჯის წინააღმდეგნი არიან თვით ზომიერნი რესპუბლიკელნი. ლეონ სეს მომხრენი კონსერვატორები ხომ ასე ამბობენ, რომ მაგისთანა ხარჯის შემოღება სოციალისტობის ნიშანი იქმნებაო. არ შეუძლიან აგრეთვე პალატას შემოიღოს საქარხნო კანონ-მდებლობა, რადგან ამის წინააღმდეგნიც არიან ზომიერნი. ზომიერთა გარდა წინააღმდეგნი არიან კონსერვატორნი გრაფ დე-მენის გარდა. წინააღმდეგნი არიან აგრეთვე ბულანჟელები, რომელნიც ყვირილით-კი ბევრსა ჰყვირიან მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრების განკარგების თაობაზე და საქმით-კი—ღმერთმა შეინახოთ. როცა ფლოკეს კაბინეტმა მოინდომა შემოღება ახალის საქარხნო კანონ-მდებლობისა და თითოეულის შემოსავალის დაგვარად სახელმწიფო ხარჯის გაწერა, ბულანჟელებმა არავითარი მომხრეობა არ გაუწიეს ფლოკეს. ასეთი პალატაა დღეს საფრანგეთში და ძალიან საეჭვოა, რომ ამისთანა პალატამ რითიმე იჩინოს თავი.

— ფლოკეს პატივსაცემლად სადილი გამართეს. სადილზედ ლაკრუამ სთქვა, სხვათა შორის, რომ სულ იმას იძახიან, მოსაქმე და მოსაქმე პოლიტიკაო. მეც მაგ პოლიტიკის მომხრე და მსურველი ვარ, მაგრამ მოსაქმეობაც არის და მოსაქმეობაც. ზოგი რას ეძახის საქმიანობას და ზოგი რას. ათასი საქმეა გასაკეთებელი და გადასაწყვეტი საეკონომიო და სა-

---

შემოგვაძლევს რომელიმე დილეტანტი ხუთას მანეთიან ჭიანურში თუმანს და, თუ ჩვენი გაჭირება გაიგო, შეიძლება ხუთი მანეთიც დაუმატოს. მაგრამ არა, უკანასკნელ სულის დგმამდე მე იმას ვერავინ მომაშორებს!..

ვინ იცის, ჩემდა დაუკითხავად კიდეც გაჰყიდეს...

რის ვაი-ვაგლახით ზეზე წამოდგა და ლოგინს ქვეშ შეიხედა. ჭიანური იქ დახვდა. საშინელი ოხვრა-კვნესით გარეთ გამოაცოცა და მწარედ თავი გაიქნია. ჭიანურის ბუდეს მტვერი კარგა სქლად დასდებოდა... საბნის ყურით მტვერი გადასწმინდა და აკანკალებულის ხელით თავი ახადა. სიმები ისევ მთელი დაუხვდა.

— საწყალო ჭიანურო, რამდენი ხანია ხელში აღარ ამიღიხარ? რამდენი ხანია შენს მომხიბლველს ხმებს ჩემის ყურებისათვის არ გაუგონებია ტკბილი ნანა? დიდი, ძალიან დიდი ხანია. ანგარიშიც-კი დავკარგე!.. შენ უნდა გაგყიდონ? არა, არას შემთხვევაში! უსიკვდილოდ შენს თავს მე ვერავინ მომაშორებს!

სახლის პატრონი რომ არის გასასტუმრებელი? რითი უნდა გაისტუმრონ? გაგყიდიან, უსათუოდ გაგყიდიან... მაგრამ მე რა? მე ხომ ბევრი აღარ დამრჩენია სიცოცხლე! უკანასკნელმა საათმა დაჰკრა! სულთამხუთავი თავს მადგას...

. თუ ნეტარება და ბედნიერება უგრძვნია ოდესმე ჩემს გულს, ისევ შენგნით. მაშ უკანასკნელადაც გამიწიე სამსახური. ცოდვაც არის, მემუსიკე ოხვრა-კვნესით მოკვდეს!..

ხანგძლივის დასვენების შემდეგ ჭიანური მოაწყო და ზეზე წამოდგა. აამართა «სმიჩოკი» ჰაერში და დაიწყო სრიალი ჭიანურის მგრძნობიერმა სიმებზე. ბულბულმა თავისი სტვენა-რაკრაკი შესწყვიტა და ფანჯარაზე შემოჯდა; ნიავი შესდგა; ყოველივე მიწყნარდა, მიდუმდა და სმენად გადაიქცა.

. უეწყნარესის ხმით დაწყებული ერთი მეორეზე უამესი ჰანგები ერთმანეთს ეცილება, ეკამათება, ერთი მეორეს მისდევს, ერთი მეორეს ზანს ეუბნება და ჰაერი საუცხოო ჰარმონიით ივსება... ხმამ თანდათან იმატა, იმატა და ნამდვილ ჭექა-ქუხილად გადაიქცა. სახლს ზანზარი გააქვს, ფანჯრის მინები წკრიალებენ... დედა შეშფოთებული ლოგინიდგან წამოიჭრა და კარებთან მივარდა, მაგრამ იქვე შეჩერდა, თითქო გაქვავდაო.

სწორედ საოცარია უკანასკნელს წუთში მომაკვდავის სულის ძალა!.. წელში გამართული, თავ-მოწონებით და ამაყად ყელი მოუღერებია და გიჟურის აღტაცებით გააქვს და გამოაქვს სმიჩოკი სიმებზე და სცვივა ძვირფასი მარგალიტები. ეს არც ერთის კომპოზიტორის ნაწარმოები არ არის. ეს არის იმპროვიზაცია, ეს არის მომაკვდავის გულის პასუხი... მახვილი ყური ცხადად გაარჩევს ამ ხმებში სამდურავს, საშინელს სამდურავს მომაკვდავისას. ვის ემდურის? ყველას...

ხმამ თანდათან იკლო და ისე მიწყნარდა, რომ ბუზის ფრენასაც-კი გაიგონებდით. მაგრამ აი ხელ-ახლა იმატა, იმატა და... სიმი გაწყდა. სიმი გაწყდა და იმასთან გაწყდა სიცოცხლის ძაფიც. ვირტუოზი მოჭრილ ხესავით იატაკზე დაეშვა...

ბულბული დაფრთხა და ფანჯრიდგან გადაფრინდა, მთვარე ყომრალ ღრუბელს ამოეფარა, თითქო ასეთის საცოდაობის ცქერას ვეღარ გაუძლოვო, დედა მოსაშველებლად მოვარდა, მაგრამ უკვე გათავებულიყო.

იასონ ნიკოლაიშვილი

◆◆

## ზღაპარი

ბადრისა, უსიპისა და ამირანისა,

ანუ

სალხში დაშთენილი ამირან-დარეჯანიანი.

(შემდეგი *)

გავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაჰყარა; ბევრს დევს უტირა დედა; ბევრს აურია ქამკარი. ბევრგან შააცოტავა დაბეჟრებულნი მოჯალაბენი; ბევრი გველ-ვეშაპებიც გამოასალმა ქვეყანას.

ამირანს თავის მამრევი აღარავინ ეგონა ქვეყანაზედ.

ერთხელ ამირანი გზას მიდიოდა. იმისი მტერი ამბრი მოჰკვდარიყო, იდვა ურემზედ და თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ძლივს სძრავდა.

ამბრი ჩაჭქჭონდა დედასა,
თორმეტ უღელა ხარსაო;
გადმოკარდნილი ბარკალი,
მიწას არღვევდა, მარსაო.

მკვდარს ამბრს დედა ედგა გვერდზედ და მიჰყვებოდა შვილს; ამბრის ბარკალი კიდევ მიწაზე მიეთრეოდა და მიჰლარავდა. ამბრის დედამ დაინახა მომავალი ამირანი, იცნო, მოინდომა თავის შვილის მტრის გამოცდა და დაუძახა: „დარეჯანისძევ! შვილის ბარკალი გადმომივარდა მიწაზედ, დაბლა ეთრევა, უპატიურადა ხდება, ასწიე, შედევ ისევ, დედა-შვილობას, ურემზედაო“.

ამბრი მაჭთრევა დედასა,
გირაოდ ურავ ხარები.
ამირანმ მაგის ზიდილსა
ასო აიგდო, მხარები.

ამირანი ტყუილად ებოძიწკებოდა ამბრის ბარკალს. ძვრაც ვერ უყო, მიწასაც ვერ ააცილა, თორემ ურემზე ხომ ვერ შედო.

აის ქვეყანამც კრულია,
სადაც შენ ამირანობდი;
თავს იხურავდი ჩაჩქანსა,
ბოლოზე ჭკვაშვიანობდი!
წესი თუ იყოს დედათი,
ადვილად გინადირებდი;
მოგკრავდი მათრახის წვერსა,
ცის გიდელ-გიდელ გაგრეკდი!
ღმერთმ იცის, ჩემო ამირან,
ამბრის ვერ ედარებოდი;
ვერც სმაში, ვერცა ჭამაში,
ვერც ომში ედარებოდი;
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა,
ცოცხალს რას ედარებოდი;
თუ მაგის მეტი არ იყავ,
ჩემს შვილს როგორა ჰმტერობდი?!

ე მაგის პატრონი თუ უბარებდი ამბრის მუქარას, დარეჯანიანთ ამირანო, მაგ ღონით თუ უპირობდი ჩემს შვილს შებმასაო. გაწბილდა და დაღონდა ამირანი. მიწა რომ გახეთქილიყო და ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა. მზისაცა სცხვენოდა და კაცისაცა. თავი მკვდარჩი ჩათვალა. ვინ ამირანი, ვინ ეს ამბავიო! გული ჰკლავდა, ჯავრი და ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა, სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა.

სამზელოს ჩაჯდა ამირან,
შამაიკრიფა ფეხები;
თუ კი ამის მეტ არ ვიყავ,
სამზეოს რას ვეხეხები?!

ჩაჯდა საბნელოს. დღე და ღამე იმისათვის ერთი იყო. არც კაცი იცოდა და არც სხვა სულიერი. არავის არ იკარებდა ახლოს. მაშინ მოუმატა ღმერთმა ამირანს კიდევ: სამის ალაღებულის წყლის ღონე და სამის ფერდოს ზოვის ძალა და სიმარდე.

ამირან, ძალს რო გიმატა,
მე რაით შამეცოდები;
ზღვას აქათ არა დაგიშრეს,
ზღვას იქით გაეხეხები!!

უთხრა ღმერთმა: ვერ შეიფერებ, ვიცი ავზე მოიხმარებ, კიდევ სირცხვილსა სჭამო...

რაკი ღონე მოემატა, ამირანმა ისევ ბიჭობა დაიწყო, ისევ და ისევ მკლავზედ დაიწყო გახედვა. ეხლა-კი იმის მომრევი აღარავინ იყო. გაამაყდა ამირანი, გაიდიდა თავი. ბოლოსა სთქვა: „ის ჩემი ნათლია, ღონე რო მომცა, ნეტაი ერთი მაჭიდა, მეცადა რა ვაქიაო“. ერთხელ ქრისტე ღმერთი შეჰხვდა წინ ამირანს. ამირანმა უთხრა: „ნათლიავ, შენ იმოდენა ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზე ვეღარავინ მიწონს, და მოდი, რაც იქნება, იქნება, ერთი მეჭიდეო“. „ამირანო, ფილაფოზი კაცი ხარ, მაგდენი როგორ არ იცი, რო ნათლიას არ უნდა ეჭიდოო“, უთხრა ქრისტე ღმერთმა.

«არა, უნდა მეჭიდაო», გაიჩინა ამირანმა. „მაშ კარგიო, უთხრა ქრისტე ღმერთმა: მე ამ ჯოხს, ხელში რომ მიჭერია, დავარჭობ და თუ შენ ამოიღე, გამარჯვებული შენ იქნებიო». კარგიო, უთხრა ამირანმა: მაგრამ ეგ ჯოხი თუნდა ამომიძერია,

*) იხ. „ივერია“ № 244.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფინანსო ცხოვრებაში. მე კერძოდ მთავრობას მომხრეობას არ მოვაკლებ, ოღონდ იმანაც მიიღოს მხედველობაში ჩვენი სურვილი. არ მოვკითხავთ, რომ უთუოდ ყველა სიკეთე ერთბაშად შესძინოს ერსა და მუშა ხალხს. იმაზედაც თანახმა გავუხდებით, რომ ნელ-ნელა, ცოტ-ცოტათი მაინც შეასრულოს ჩვენი პროგრამაო.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ელბერფელდში სასამართლომ დაიწყო გარჩევა 90 კაცის საქმისა, რომელთაც ჰბრალდებათ, რომ საიდუმლო საზოგადოება გაქვთ შედგენილი და ავრცელებთ 1878 წლის კანონით აკრძალულს სოციალურს თხზულებათაო. ამისთანა დიდი საქმე იშვიათად ჰქონია გასარჩევი გერმანიაში სასამართლოს. ბრალდებულთა შორის არიან დეპუტატები რეიხსტაგისა: ბებელი, გრილენბერგერი, შუმანი და გარლი და აგრეთვე ნაფიცი ვექილი დიუსელდორფელი ბელლესი. სულ 468 მოწმეა მოწოდებული. ყოველისავე ამის გამო დიდი ამბავი და ალიაქოთია გერმანიაში, სასამართლო საჯაროდ არჩევს ამ საქმეს და ამიტომ დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა სამოსამართლო დარბაზს. ბრალდებულთ დამცველებად ჰყავთ ნაფიცნი ვექილნი: შვეიცერი, ფრიმანი და ლენცმანი. ბევრი თავის თავს თითონვე იცავს, როგორც, მაგალითად, ბებელი. აი უფრო რას აბრალებენ ბრალდებულთ: 1) თქვენ გამართეთ დამხმარებელი კასა და იმ კასიდამ ეხმარებოდით იმათ ოჯახს, ვისაც მთავრობა აძევებდა თავის ბინიდამაო; 2) თქვენ ავრცელებდით გაზეთს „Social demokrat“-საო; 3) თქვენ ესწრობოდით საიდუმლო კრებასა და კონგრესებზედაო; 4) უპატიურად იხსენიებდით იმპერატორსა და ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებასაო. პირველად ბებელს ჰკითხეს, სდებ თუ არა თავს დანაშაულობაშიდაო. ბებელმა პასუხად დიდი სიტყვა წარმოსთქვა და საათ ნახევარი ილაპარაკა. ამ ლაპარაკით გამოარკვია დაწყობილება და მნიშვნელობა ურთიერთის დახმარებისა სოციალ-დემოკრატებ შორის და მერე სათითაოდ უარჰყო თითოეული მუხლი საბრალმდებლო ოქმისა. „პროკურატურასაო, სთქვა ბრალდებულმა: ვერ გაუბედნია ბრალად დავდოს, რომ ჩვენ სოციალ-დემოკრატების დასს ვეკუთვნით. ამტკიცებს მხოლოდ, რომ ვითომ ჩვენ დავარღვიეთ ზოგიერთი მუხლი 1878 წლის კანონისა. მაგრამ ასეთს ბრალდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექმნებოდა ძალა და მნიშვნელობა, რომ ის საქმე, რასაც ჩვენ ვადგივართ, საიდუმლოდ კეთდებოდეს ჩვენ მიერ. ნამვილად-კი ავრე არ გახლავთ. ჩვენი მოქმედება ყველას თვალწინა აქვს და დაფარული, დამალული ჩვენს მოქმედებაში არა არის-რა. თითონ მე ვარ კასის მოთავე და ყოველთვის იმის ანგარიშს საჯაროდ ვაცხადებდი ხოლმე. გაზ. „Social demokrat“-ის გავრცელებას რომ გვაბრალებთ, ეგ ბრალდება მაშინ იქნებოდა საფუძვლიანი, რომ ის გაზეთი მართლა ჩვენის დასის ოფიციალური ორგანო იყოს. ნამდვილად-კი დიდი ხანია, რაც სოციალ-დემოკრატების მეთაურებმა გამოვაცხადეთ, რომ იმ გაზეთის შინაარსის გამო ჩვენ არავითარს პასუხს არ ვაგებთო.

---

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში

წერილები დე-ვარინისა.

(შემდეგი *)

ბოროტი დღითი-დღე უფრო და უფრო ფეხს იდგამს და იკიდებს. დროა მგონი ეშველოს რამე. დრო-კია, მაგრამ კანონი ქორწინებასა და განქორწინებაზედ უფრო ხელს უმართავს ბოროტს, ვიდრე უშლის, ის უფრო ავრცელებს და ფესვს ამაგრებინებს. ამ კანონებისა მხოლოდ რიგსა და წესში მოყვანა შეიძლება და ამით თუ დაუწყებს ბრძოლას ადამიანი მათ მიერ გამოწვეულს ბოროტებას, ხოლო სრული გაუქმება მათი-კი ყოვლად შეუძლებელია. ასეთი ცვლილება ვერ გაუმკლავდება უკვე გახრწნილებას მიცემულ ზნე-ჩვეულების ცრუ რწმენათ, იმ ცრუ რწმენათ, რომელსაც ფეხი გაადგმევინა სადა და ჯან-საღმა ცხოვრებამ პირველ გადახიზნულთამ. იმ უეცარმა ცვლილებამ, რომელმაც ხელი შეუწყო გადახიზნვასა და გადასახლებას, მიწადმოქმედთა შორის გააჩინა აგრეთვე მთელი ბრბო უბრალო მუშებისა, რომელთაც თავის მხრით მხარი მისცეს ყველგან დიდრონ ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსებას. ქონებითა და შეძლებით თანასწორ და თანაბარ ხალხთა მაგიერ ფაბრიკებმა და ქარხნებმა ერთის მხრით შეძლებული და მდიდარი ხალხი წამოსწიეს წინ, მეორეს მხრით უფრო ძირს დასცეს და დააქვეითეს ისეც ღარიბი და შეუძლო მუშა-კაცობა. ამ გარემოებამვე დაჰბადა მთელი გროვა სოციალურ მოვლენათა. ერთი გვარმა მიზეზმა ერთ გვარივე შედეგი გამოიწვია. ისე, როგორც ევროპაშია, მუშა ხალხის ერთ ადგილას თავის მოყრამ და შეჯგუფებამ გამოიწვია შეძლებულთა მიმართ სიძულვილი, საშინელი სოციალიზმი, ძლიერი ბრძოლა არსებობისათვის, ოქროს მბრძანებლობა და მძვინვარე მეტოქობა, მოპირისპირობა. ამ არევ-დარევას მოჰყვა დედაკაცის დამცირება, იმ დედაკაცისა, რომელსაც ბრძოლაში ყოველივე ძალა და ღონე გამოულევია და ყველაფერს მხოლოდ მამაკაცისაგან გამოელოდა და მამაკაცისაგან თხოულობდა.

ყველა ეს აშკარად ამტკიცებს, რამდენად მცირედ არის დამოკიდებული სოციალური მოვლენა საპოლიტიკო სისტემისაგან და როგორ სცდებიან ისინი, რომელთაც ჰგონიათ, რომ სოციალური მოვლენა და საპოლიტიკო სისტემა ხელი-ხელს არიან გადახვეულნი და ერთის რომელისამე მმართველობის გარეგანს სახეს ყოველისფრის სიკეთის ჩამოგდება შეუძლიანო. დემოკრატია და ამასთან ერთ-მთავრობაც ერს ამ ბოროტს ვერ ააცილებს, რომელიც თავის მიერ არ არის გამოწვეული და რომლის მკურნალობასაც თითონ ვერ გასწევს. რად უნდა გავრცელებულიყო შეერთებულ შტატებში პროსტიტუცია, რომლისაგანაც პირველშივე ყველა იცავდა და იფარავდა ნორჩს რესპუბლიკას. მას შემდეგ ვინ მოსთვლის რამდენი ღონისძიება არა ხმარებულა, რომ ან სულ მოესპოთ და, ან ოდნავ მაინც შეეზღუდნათ ეს ბოროტი! ბევრს სცდილობდნენ დედაკაცისთვის დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ და იმისი შრომა დაეჯილდოვებინათ, ან დამაჯილდოებელი შრომა ესწავლებინათ! ამერიკის დემოკრატიამ პირველმა მისცა ნება დედაკაცს, რომ ზოგიერთი საადმინისტრაციო თანამდებობა აღესრულებინა, დედაკაცი უფლებათა მხრივ კაცს გაუთანასწორა ესრედ-წოდებულ სალიბერალო პროცესებში, იმასაც შეაძლებინა ჴმისა და აზრის თქმა, თავის სურვილის გამოცხადება ზოგიერთს შემთხვევაში, და შორს არ არის ის დრო, როცა ამ უფლებას უფრო გააფართოვებენ, ყველაფერზედ ხმის ამოღებას და ჴმისა და აზრის თქმას შეაძლევენ. რაღა თქმა უნდა, კანონ-მდებლებს არ ეთქმით საყვედური, რომ შეუშფოთებლად და გულაუმღვრევლად შესცქეროდით თქვენ მიერვე გამოწვეულს ბოროტსაო, ისე, როგორც გულგრილობა არ ეკადრება საზოგადოებურს აზრსაც.

ბოროტი უფრო უმეტესად ქვეყნის სხეულის გულსა და შორეულს ნაწილებში იდგამს ფესვს: ნიუ-იორკში, სადაც პროსტიტუციას 30,000 დედაკაცამდე მისდევს, დიდს სამრეწველო ქალაქებში, როგორიც, მაგალითებრ, ჩიკაგოა, და აგრეთვე იმ შორეულს ადგილებში, სადაც ცივილიზაციასა და კანონ-მდებლობას ჯერ თავისი დაღი ვერ დაუჩნევია და რომელიც დასახლებულია კანონს გარეშე სიამოვნებით მცხოვრებელ ხალხით, იმ ხალხით, რომელიც სრულს თავისუფლებას აძლევს თავის ვნებათა ღელვას, ცხოველურს ინსტინქტებს და თავ-დაუჭერელს ჟინს. ეს ადგილები განსაკუთრებული, ჯერ უცნობი ქვეყანაა, რომელშიაც ახირებულნი ზნენი და ჩვეულებანი ჰმეფობენ. დროგამოშვებით ამ ქვეყანაში კაცის-კვლა მოხდება ხოლმე, ადამიანის შეუბრალებლად დასახიჩრება, ან დაუნდობელი შურის-ძიება და ამით მოგვაგონებს, რომ ისიც არსებობს, შემდეგ-კი ისევ სამარებრივს ბურუსში გაეხვევა და მიეფარება და მიიჩქმალება ხოლმე ჩვენის მეხსიერებიდგან. ეს ქვეყანაც თავის ისტორიკოსს მოელის, თავისს კუპერს, ბრეტ-გარტთან შეერთებულს. მართლაც-და იგი აღწერის ღირსია, განსაკუთრებით იმ

*) იხ. „ივერია“ №№ 225, 226, 227, 228, 230, 232 237, 241 და 242.

---

თუნდა არაო. დაარტყა ქრისტე ღმერთმა ჯოხი, მივიდა ამირანი, დაეზიდა და ადვილად ამოიღო. დაარტყა კიდევ მეორედ ჯოხი ქრისტე ღმერთმა და ამირანმა კიდევ ამოსწია, ისევ ადვილად ამოიღო ამირანმა ჯოხი. „ეჰ, რას მეთამაშებიო!“ უთხრა ქრისტე ღმერთს: „თუ გინდა მეჭიდე, თუ არა-და, თავი დამანებეო“.

მაშინ აიღო ქრისტე ღმერთმა თავის ჯოხი, დაარტყა და უბრძანა ისეთის ფესვების გადგმა, რომ მთელს ქვეყანასა ჰქონიყოს იმის ფესვები ირგვლივ სარტყელივით შემორტყმული; იმისი წვერი კიდევ ზეცაში ყოფილიყოს გართხმული. მერე უბრძანა ამირანს ამოწევა. დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად, ძირაც ვერ უყო. მაშინ შესწყია ღმერთმა ამირანი და დააბა ზედ იმ ხეზედ. დაბმულს ამირანს ზედ თოვლ-ყინულიანი გერგეტი და ყაზბეგის მთა დაახურა, რომ ამირანს ცა-ქვეყანა ველარ ენახა და მოწყვეტილი ყოფილიყო სინათლესა და სიხარულს. მას შემდეგ იქ არის მიჯაჭვული ამირანი. დღეში ღვთისაგან ერთი პური აქვს საზრდოდ და ერთი მინა ღვინო. ყოველ დღე ყორანი მიუტანს და დაუდგამს წინ. ამირანს ერთი გოშია ჰყავს. ის გოშია ყორნის ნაშობია. დახავსებულსა და დაძანგულს ჯაჭვს დღე-მუდამ ჰლოკს ერთგული გოშია, ჰლოკს და ათხელებს ლურჯს რკინას. მიდგება ჯაჭვიც გაწყვეტაზე, გაეხსნება ამირანსაც ჩახუთული გული, იმედი მოეცემა კიდევ თავისუფლად სიარულისა, მაგრამ ამ დროს წყეული მჭედელი დაჰკრავს კვერს დიდს ხუთშაბათს გრდემლს და გასაწყვეტად დამზადებული ჯაჭვი ისევ სქელდება, ისევ ისეთი საზარელი ხდება და ისევ ისე აშორებს სიკვდილსა და სიცოცხლეს, ისევ ისე ხდება სინათლისა და სიბნელის საზღვრად, თავისუფლებისა და მონობის ბეწვის ხიდად. იქავე ახლოს უძევს თავის მოკლე ხმალიც ამირანს, მაგრამ ველარც არას ის არგია: ისიც ჟანგისა და მიწის შეჭმულია. უპატრონობას ცალკე ისა ტირის და ცალკე ამირანი უმისობას. წელიწადში ერთხელ კიდევ გაიღება ამირანს საბნელოს კარი. გერგეტი კიდევ უჩამს კარებს დაბმულს გმირს, მაგრამ ამირანი სინათლეს აღარც-კი უცქერის. ქვეყნის დანახვა მიყურებულს ტკივილებს ისევ ულვიძებს, გული ისევ უწყლულიანდება...

გერგეტზე ერთი გველეშაპია გაქვავებული და მოკლული. ის გველეშაპი ამირანის მტერი იყო. გაეგო ამირანის დაბმა, წამოსულიყო შესაჭმელად, მაგრამ ქრისტე ღმერთს შეუწყევია ისიც და ისე გაუხმია. მას აქეთ იქა წევს ის გველეშაპი, ისიც ღვთის რისხვას ველარსად გაჰქცევია; ვერც ცეცხლს დაუწვავს და ვერც მზეს; ვერც ქარს გადუგორებია უფსკრულს ხევებში და ვერც ყინულის ზვავებს; არც ცას უთვისებია და არც ქვეყანას; იმ ადგილს, სადაც გველეშაპია, არც თოვლი ეკარება და არც ყინული. ნისლებსა და ღრუბლებს რომ მთელი გერგეტი ჰქონდეს მოცული და შეფარული, ის ადგილი კიდევ შავად გამოიყურება. წვიმაც ერიდება იმას და ნიავიც. ჭიუხში მცხოვრები ჯიხვები და კლდის ვაცებიც-კი არ შეეფარებიან იმ არე-მარეში თოვლ-ბუქის დროს. ყველა მიურბის და მიერიდება... ირგვლივ მარტო წყევლაა და წყევლა, სიკვდილი და სიჩუმე...

—

ამ ყოფაში ამირანი ერთს მონადირეს ენახა. ის მონადირე თურმე გერგეტის გარშემო ჩონჩხებით ნადირობდა ჯიხვებზედ. ერთს ჯიხვს ესროლა, დასჭრა, მაგრამ დაჭრილი ჯიხვი გაექცა და შეიხიზნა ერთს ეხში. გასავალი აღარსაით არა ჰქონდა თურმე. ვერცსაით მიუდგებოდა მონადირე და ვერც ესროდა; თუ ესროდა და მოჰკლავდა, მკვდარი ჯიხვი მაინც დარჩებოდა და მაინც კლდეში, ვერც ხორცით ირგებდა და ვერც ტყავით. ამ ყოფაში თურმე არის მონადირე და ვერ შენიშნა, რომ მზე ჩავიდა და ის არის ბინდდება. მაშინვე იქით ეცა, აქეთ ეცა, ეძება გზა, მაგრამ ველარ იპოვა ჩამოსავალი. იქ უნდებოდა დადგომა. საბრალო მონადირე ორს ჭირში იყო: თუ წავიდოდა, გადიჩეხებოდა სადმე, არ წავიდოდა — და, სიცივე მოჰკლავდა. ბევრი იღონა მონადირემ და ბოლოს უკანასკნელი არჩია, — ისევ გზაში მოვკვდე, აქ სიკვდილსაო. ებღაუჭა ბევრი, ებღაუჭა კლდეებს, ხან ხანჯლის წვერითა თხარა, ხან კლდეებში საფეხურები აკეთა და იარა ასე. მონადირე ერთს კლდეს მოადგა და იქ შეისვენა. უცებ ერთი საშინელი კვნესა და გმინვა მოესმა. მონადირე შეშინდა; ჯერ ეშმაკი და ქაჯი ეგონა, გაქცევა გაბედა, მაგრამ გასაქცევი არა ჰქონდა; მერე იფიქრა: „იქნება ან ზვავმა ვინმე ჩამოაგდო, ან ყინულზე იყოს შესხლეტილი და დამტვრეული, ან კიდე იქნება ჩემსავით ვინმე მონადირე გაჰყვა ჯიხვებს, საფარში შერჩა, თითონაც თან შეჰყვა, ჯიხვებმა რქის ჯარი შეუყარეს და დალიეს კლდეზედაო. წავალ, აბა ერთი გავიგებ, ვინ არის, რასა ჰშვრებაო. წავიდა მონადირე იქისაკე, საიდაც კვნესა ისმოდა, და გამოქვაბულს კლდეში-კი შევიდა. ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევივით კაცი მიბმულია კლდეზე ჯაჭვებით; თმა-წვერი ასხია ისეთი, რომ დაბლა ლოგინადა ჰქონია; ერთი გოშია კიდე გვერდზე უდგა და ჰლოკს ჯაჭვებს. მონადირე შეშინდა, გაქცევა გაბედა, მაგრამ დაჯაჭულმა გმირმა დაუძახა: «თუ ქრისტიანი ხარ, ნუ გაიქცევი, აქ მოდი ჩემთან, დაჯაჭული ვარ, რას გიზამო!» გაბედა მონადირემ და მივიდა ახლოს. გმირმა უთხრა ჩუმად: «მე ამირანი ვარ და ნუ შეშინდებიო. წადი, ის ჩემი ხმალი მომაწოდე, იქ რომ ცრემლად იღვრება, და მერე მე ვიციო!» წავიდა ხმალთან მონადირე, მოეჭიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ადგილიდამ ვერ დასძრა. ეს დაინახა ამირანმა და ისე დაიკვნესა, რომ მთებმა დაიწყეს ნგრევა და ქუხილი. აქ მოდიო, დაუძახა ისევ ამირანმა მონადირეს: ვერ მოათრევ მაინც ისე, რომ მივწვდეო? მონადირემ კიდევ ვერ უყო ძირა. მაშინ ამირანმა უბრძანა მონადირეს: „დაწვე მიწაზედ, ხელები ხმალს მოავლე, ფეხები მე მომეც ხელში, მე შენ დაგეზიდები, შენ ხმალს და იქნება მოვათრიოთო“. დაწვა მონადირე მიწაზედ, ხელები ხმალს ჩაავლო, ფეხები ამირანს მისცა ხელში. მოსწია ამირანმა, მაგრამ მონადირემ დაიწყო ყვირილი: გავწყდი! გავწყდიო! უშვა ხელი ამირანმა და დანანებით უთხრა: „წადი და ეცადე, ჯამბარა-დასაკიდელი მოიტანო ისე, რომ ვერავინ გნახოს; თუ გნახვენ, არავის არ უთხრა, რადაც გინდა და არც თავი მიიბრუნო უკანაო. გამოვიდა მონადირე. გათენებულიყო. წამოვიდა შინ, აიღო ჯამბარა-საკიდელი და გასწია ამირანისაკენ, მაგრამ ნახა ცოლმა და გამოეკიდა ქმარს: „კაცო, სად მიგაქვს ეგ ჯამბარა-საკიდელი, რად გინდაო?“ ჯერ თავი იმაგრა მონადირემ, არა სცემდა ხმას და არც თავს უბრუნებდა ტუტუცს ცოლს, მაგრამ როდესაც საქმე გაუჭირა, დაბრუნდა, დაღეა ცოლი, აიღო და ერთი, თუ ორი; მიტყიპა თქვენი მოწონებული და წამოვიდა ამირანთან. მოვიდა იმ ადგილას, სადაც ეგულებოდა ამირანი, მაგრამ აღარსად გამოქვაბული იყო და აღარსად ამირანი: «აი თუ დაჰგლეჯდა ჯაჭვებს ამირანი, თითონ იცოდა რასაც იქმოდაო!» იტყვის ჩვენი გლეხი კაცი და ამოიქშენს დაჭრილ ლომივით...

კაცმა ისეთი უნდა სთქვას,
შიგ ტყუილი არ ერიოს;
უნდა ღმერთი მოიგონოს,
კაცი რომ კაცს მოერიოს.

—

ელასა, მელასა,
ჭიქა მეყიდა ყელასა;
მთქმელსაც და გამგონებელსაც,
ღმერთი გვწყალობდეს ყველასა!

—

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა;
აქ სიცოცხლით დაგვიძეხით,
საქმის ცხონებითა!

—

დაჭკარ და დაჭკარ, ფანდური,
კარგა მაძლიე ბანია!
შე გამოთხრილო ღვიისო,
ვერ დაგაჭარბებს ბაღია;
სუ შენ მაგონებ ლექსებსა,
ნასვავარ შენი ბრალია.

თ. რ—ლი

მხრივ, თუ რა ადგილი აქვს მინიჭებული იქ დედაკაცს. გაივლის რამდენიმე წელიწადიც, თანდათან აღელვებულ - აზვირთებული ტალღა ცივილიზაციისა შთანთქამს ამ ახირებულს ტიპებს და ძველის დროის მოსაგონებელ ამბავ-და გახდის. ვიღა დაიჯერებს მაშინ მართლაც-და ძნელად სარწმუნს ამბავს ზელლი სტორისას, დასავლეთის ავაზაკთა კერპისას, ამ განმახორციელებელისას იმ კანონს გარეშე მცხოვრებ ადამიანთა უსაზღვრო გამბედაობისა, ზიწიერებისა და გულ-გრილობისა, რომელთაც თავი მოსწონთ, რომ ჩვენი შთამომავლობა „წალებ-ჩაცმული“ კვდება, რევოლვერითა და დანით ხელში, ისე როგორც ეს დედაკაცი გარდაიცვალა 1889 წ. 3 თებერვალს 35 წლისა ძნელად წარმოსადგენ და ახირებულ ცხოვრების შემდეგ. მან დასტოვა ვაჟიშვილი და ქალიშვილი, რომლებიც დედის მაგალითს გაჰყვნენ.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

16 ნოემბერი

პეტერბურგი. ლიფლიანდიის გუბერნატორმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ რიგის საქალაქო გამგეობის წევრი სტატსკი სოვეტნიკი ფონ-ეტინგენი პოლიტიკურის მხრით წესიერად არ იქცევა და საბჭოში უადგილო მსჯელობაა ხოლმეო. მინისტრმა ეს გარემოება მოახსენა უქვეშევრდომლესად ხელმწიფე იმპერატორს და მან ბრძანა უმაღლესად: გამოეცხადოს დიდი საყვედური რიგის ქალაქის თავს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ფონ-ეტინგენს, რომ ლონე არ მიუღია ზემოხსენებულს საბჭოში უადგილო მსჯელობის ასაცილებლად, ხოლო წევრი გამგეობისა სტატსკი სოვეტნიკი ფონ-ეტინგენი დათხოვნილ იქმნას არა თუ გამგეობიდამ, არამედ ყველა საქალაქო დაწესებულების სამსახურიდამაც ამასთანავე აღეკრძალოს, რომ შემდეგაც ნება არა ჰქონდეს საზოგადოებურს სამსახურში შევიდესო.

გაზეთები იუწყებიან, ვითომ ხმა არისო, რომ რაკი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების ფასებმა დაიწია, კომისიამ შეადგინა პროექტი, რომლის ძალითაც უნდა შემოღებულ იქმნას მთავრობის დახმარებით საზოგადო სახელმწიფო ზღვევა მუშა საქონლისაო.

გაზ. „День“-ი იუწყება: განზრახვა აქვთ სახელმწიფო საბჭოს წარუდგინონ წინადადება, რომ მან გადასდოს ფული სამრეწველო სკოლებისათვის იმ გუბერნიებში, საცა საერო დაწესებულება არ არის ჯერ შემოღებულიო.

ნიუ-იორკი. ლინში, მასაჩუსეტის შტატში ცეცხლი გაჩნდა და ნახევარ ქალაქზედ მეტი იმსხვერპლა. გადაიწვა 12 უბანი; ზარალი 10 მილიონი დოლარია.

როსტოვი დონისა. დონი გაიყინა. ნაოსნობა შეწყდა.

პეტერბურგის 13 ბირჟა, ნოემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 58 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 245½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 224½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საერთო-ერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჭვავის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

სახალხო კალენდარი

1890 წ.

ფასი ოთხი შაური

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაეთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათანავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ღალაევის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1890 წლისათვის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | | „ | 20 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა | | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Каравань-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა | „ | 15 |
| **Я. Гогебашвили.** Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“ | „ | 50 |
| კაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 20 |
| ყდით | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა | „ | [illegible]0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა | „ | 0 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სამღთო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკუნო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ვაზის ობი | „ | 10 |

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უდნა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 16-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.